

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგება

*2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	8-36

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „დარიალი ენერჯის“ ხელმძღვანელებს და აქციონერებს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „დარიალი ენერჯის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის 2019 წლის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2019 წლის წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ სხვა ინფორმაცია და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებულნი ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, შესწევს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- ▶ შვეიცარული აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.



ალექსეი ლოზა

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2020 წლის 24 აპრილი

სს „დარიალი ენერჯი“


სრული შემოსავლის ანგარიშგება


2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2019	2018
ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	12	43,540	37,944
ცვეთა	4,6	(6,978)	(6,891)
მიწის და ქონების გადასახადი		(2,451)	(2,496)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(1,351)	(1,273)
გადამცემი ხაზების რეაბილიტაციის დანახარჯები	13	(811)	-
სხვა ხარჯები	14	(1,960)	(1,440)
სხვა შემოსავალი		5	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		29,994	25,844
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	7	584	560
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		(10,555)	(19,374)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		(14,118)	(5,939)
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		5,905	1,091
მოგების გადასახადის სარგებელი	11	-	-
წლის წმინდა მოგება		5,905	1,091
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		5,905	1,091

ეს ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2020 წელს 24 აპრილს შემდეგი პირების მიერ:


 კონსტანტინე იოსელიანი
 გენერალური დირექტორი


 ზვიად შალვაშვილი
 მთავარი ბუღალტერი

8-36 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „დარიალი ენერჯი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2019	2018
ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	12	43,540	37,944
ცვეთა	4,6	(6,978)	(6,891)
მიწის და ქონების გადასახადი		(2,451)	(2,496)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(1,351)	(1,273)
გადამცემი ხაზების რეაბილიტაციის დანახარჯები	13	(811)	–
სხვა ხარჯები	14	(1,960)	(1,440)
სხვა შემოსავალი		5	–
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		29,994	25,844
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	7	584	560
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		(10,555)	(19,374)
საკუთრო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		(14,118)	(5,939)
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		5,905	1,091
მოგების გადასახადის სარგებელი	11	–	–
წლის წმინდა მოგება		5,905	1,091
სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		5,905	1,091

ეს ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2020 წელს 24 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

კონსტანტინე იოსელიანი
გენერალური დირექტორი

ზვიად ალავიძე
მთავარი ბუღალტერი

8-36 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში

	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	231,257	237,979
გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები	4	371	–
არამატერიალური აქტივები		3	3
შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრები	7	5,813	9,697
სულ გრძელვადიანი აქტივები		237,444	247,679
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		290	97
გადახდილი ავანსები		143	27
დებიტორული დავალიანება	12	3,687	4,099
წინასწარ გადახდილი გადასახადები		131	99
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	11,998	5,520
სულ მიმდინარე აქტივები		16,249	9,842
სულ აქტივები		253,693	257,521
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	8	84,233	84,233
კაპიტალის სხვა რეზერვები		3,738	3,738
აკუმულირებული ზარალი		(33,121)	(39,026)
სულ კაპიტალი		54,850	48,945
გრძელვადიანი ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები	9	138,518	152,617
სუბორდინირებული სასესხო ვალდებულება აქციონერის მიმართ	10	23,775	20,681
საიჯარო ვალდებულებები	4	304	–
ძირითად საშუალებებზე გადასახდელი თანხები		444	419
ტყის მასივის აღდგენის ხარჯის რეზერვი	5	1,767	1,541
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		164,808	175,258
მიმდინარე ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები	9	33,270	32,781
ტყის მასივის აღდგენის ხარჯის რეზერვი	5	318	296
საიჯარო ვალდებულება	4	84	–
ძირითად საშუალებებზე გადასახდელი თანხები		310	229
სხვა კრედიტორული დავალიანება		53	12
სულ მიმდინარე ვალდებულებები		34,035	33,318
სულ ვალდებულებები		198,843	208,576
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		253,693	257,521

8-36 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „დარიალი ენერჯი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ათას ლარში

	სააქციო კაპიტალი	კაპიტალის სხვა რეზერვები	აკუმულირე- ბული ზარალი	სულ
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	84,233	3,738	(40,117)	47,854
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	1,091	1,091
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	84,233	3,738	(39,026)	48,945
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	5,905	5,905
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	84,233	3,738	(33,121)	54,850

8-36 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „დარიალი ენერჯი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		5,905	1,091
<i>არაფულადი კორექტირებები დაბეგვრამდე ზარალის წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით</i>			
ცვეთა	6	6,978	6,891
საკუროსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		14,118	5,939
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		10,555	19,374
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	7	(584)	(560)
		36,972	32,735
საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები			
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(193)	(69)
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში		412	(1,444)
ცვლილება გადახდილ ავანსებში		(116)	(4)
ცვლილება საგადასახადო დავალიანებაში		–	(114)
ცვლილება წინასწარ გადახდილ გადასახადებში		(32)	–
ცვლილებები სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		41	(110)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		37,084	30,994
გადახდილი პროცენტი		(13,157)	(12,003)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		23,927	18,991
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითად საშუალებებში გადახდილი თანხები		(222)	(17)
მიღებული პროცენტი		584	307
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული / (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		362	290
ფინანსური საქმიანობა			
შეზღუდული წვდომის ფულადი ნაკადების წმინდა მოძრაობა		3,884	1,468
პროცენტიანი სესხების დაფარვა		(21,618)	(18,243)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	4	(101)	–
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(17,835)	(16,775)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		6,454	2,506
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		5,520	3,183
წმინდა საკუროსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		24	(169)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	7	11,998	5,520

8-36 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ათას ლარში

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „დარიალი ენერჯი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი სააქციო საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ჩაჩავას ქ. 8.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია. მისი ძირითადი საოპერაციო აქტივია საქართველოში, ყაზბეგის რაიონში მდებარე ჰიდროელექტროსადგური („დარიალი ჰესი“).

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა 2016 წლის ნოემბერში დასრულდა და კომპანიამ ელექტროენერგიის წარმოება და გაყიდვა 2016 წლის ბოლოს დაიწყო.

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა ასეთი იყო:

შპს „ენერგია“	44.27%
შპს „ფერი“	31.38%
Lock W. Home Irrevocable Trust dated December 2012 (შემდგომში „სატრასტო ფონდი“)	24.35%
	100.00%

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა აქციონერების მიერ. აქციონერთა კრება, ჩვეულებრივ, ტარდება საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის პირველ ნახევარში. აქციონერებს შეუძლიათ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანა გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

3. ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მის მიმდინარე აქტივებს 17,786 ლარით აღემატება. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს საჭირო ფინანსური სახსრების მოპოვებას, თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების ადეკვატურობის შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

- ▶ კომპანიის ფულადი ნაკადები ელექტროენერგიის გაყიდვიდან გარანტირებულია სს „ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორთან“ („ესკო“) გაფორმებული ხელშეკრულებით, ხოლო ფასები აშშ დოლარშია ფიქსირებული. 2019 წლის უმეტესი პერიოდის განმავლობაში, კომპანიამ მისი გამომუშავებული სიმძლავრის მხოლოდ ნახევარი გამოიყენა, რადგან საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის საკუთრებაში არსებული 110 კვ გადამცემი ხაზის რეაბილიტაცია 2019 წლის 8 სექტემბერს დასრულდა. აქედან გამომდინარე, კომპანიამ შეძლო საშუალოდ 30 მგვტ/სთ ელექტროენერგიის რეალიზაცია და მისი ყოველთვიური შემოსავალი, საშუალოდ, 3,628 ლარს შეადგენდა. 2019 წლის აგვისტოს ბოლოს, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ დაასრულა 110 კვ-იანი გადამცემი ხაზის რეაბილიტაცია და კომპანიამ დაიწყო მისი სრული სიმძლავრის გამომუშავება 2019 წლის 8 სექტემბრიდან, რომელიც 2019 წელთან შედარებით გაზრდის კომპანიის ფულადი ნაკადების შემოდინებას დაახლოებით 100%-ით 2020 წლის განმავლობაში. ამასთან, გადამცემი ხაზის გვიან დასრულებას გამო კომპანიის მიერ გაწეული ზარალის ანაზღაურების გზით, შეიცვალა „ესკო“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება და 2021 წლიდან ზამთრის თვეებში ტარიფი 1 კვ/სთ-ზე 0,07 აშშ ცენტით გაიზრდებოდა.
- ▶ კომპანიის ძირითადი ფულადი ნაკადების გადინება კომპანიის 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების გამოშვებიდან თორმეტთვიანი პერიოდის განმავლობაში, რომლებიც უკავშირდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სესხის დაფარვას 2020 წლის მარტის თვეში (არადისკონტირებული 18,721 ლარი), 2020 წლის სექტემბერში (არადისკონტირებული 15,343 ლარი) და 2021 წლის მარტში (არადისკონტირებული 18,506 ლარი). იმის გამო, რომ დარიალის ჰესის მშენებლობა 2015 წელს დასრულდა, კომპანია არ მოელის რაიმე სახის კაპიტალურ დანახარჯებს ანგარიშგების თარიღიდან თორმეტი თვის განმავლობაში, გარდა მიწის სერვიტუტის ერთჯერადი გადახდისა, რომელიც ხელმძღვანელობამ 350 ლარად შეაფასა, ამასთან განახლებადი საოპერაციო ხარჯი მოსალოდნელია რომ შენარჩუნდება უცვლელ დონეზე 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის თორმეტი თვის განმავლობაში, რაც ყოველთვიურად საშუალოდ 688 ლარს შეადგენდა.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

3. ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

- ▶ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას შეზღუდულ ფულად ანგარიშზე აქვს 5,813 ლარი. კომპანია ვალდებულია ამ ანგარიშზე ყოველთვის იქონიოს დავალიანების მომდევნო გადახდისთვის საკმარისი თანხა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის მიხედვით, კომპანიას ამ თანხის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიმართ დავალიანების ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის მიზნით. ვინაიდან კომპანიას არ მოუხდენია ფულადი ნაკადების სრული სიმძლავრით გენერირება 2019 წლის 8 სექტემბრამდე, მან ვერ შეძლო ამ ანგარიშზე ნაღდი ფულის საკმარისი ნაშთის შენარჩუნება და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი დათანხმდა, რომ გამოიყენოს ფულადი სახსრები სესხის მომსახურების სარეზერვო ანგარიშიდან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სესხის პროცენტისა და ძირითადი თანხის დასაფარად, 2017 წლის მარტიდან 2020 წლის მარტამდე. ხელმძღვანელობის აზრით, კომპანია შეძლებს შესაბამისი ფულადი სახსრების გენერირებას და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს გადაუხდის დავალიანებას შეზღუდულ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების გამოყენებლად 2020 წლის სექტემბრიდან.
- ▶ ხელმძღვანელობის შეფასებით, გადამცემი ხაზის რეაბილიტაციის დასრულების გამო, 2020 წლის ზაფხულის განმავლობაში მოსალოდნელია ელექტროენერგიის რეალიზაციიდან ფულადი სახსრების შემომავალი ნაკადების დაახლოებით 300%-იანი ზრდა. ერთდერითი რისკ-ფაქტორი, რომელმაც შესაძლოა შეზღუდოს დარიალის ჰიდროელექტროსადგურს სრული პოტენციალით მუშაობა (108 მეგავატ-საათი) ზაფხულის პერიოდში არის წყლის ნაკადის ნაკლებობა. კომპანიამ ჩაატარა გეოლოგიური კვლევა, რომლის საფუძველზეც შეაფასა, რომ 2020 წლის მაისი-აგვისტოში წყლის მოცულობა საკმარისზე მეტი იქნება ამ თვეებში სრული სიმძლავრით მუშაობისთვის.
- ▶ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია აკმაყოფილებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებით განსაზღვრულ პროექტის დასრულების თარიღის და სესხის მომსახურების კოეფიციენტის ვალდებულებებს. 2019 წლის 30 დეკემბერს კომპანიამ მიიღო წერილობითი ნებართვა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან, რომლითაც პროექტის დასრულების თარიღი 2020 წლის 15 მარტამდე გადავიდა. 2020 წლის 13 მარტიდან დაწყებული, კომპანია აკმაყოფილებს პროექტის დასრულების თარიღის ვალდებულებას.

2019 წლის 11 ივნისს კომპანიამ მიიღო წერილობითი ნებართვა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან, რომლითაც სესხის მომსახურების კოეფიციენტის ვალდებულების დაწყების თარიღმა 2020 წლის 1 იანვრამდე გადაიწია. დამატებით, დაწყების თარიღი 2021 წლის იანვრამდე გადავიდა. ხელმძღვანელობის აზრით, 2021 წლის იანვრიდან კომპანია შეძლებს მოთხოვნილი სესხის მომსახურების კოეფიციენტის შენარჩუნებას.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

(ა) უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია საქმიანობს.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი სამუშაო ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ყველა სხვაობა შეტანილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

(ბ) აქტივებისა და ვალდებულებების მოკლე- და გრძელვადიანად კლასიფიკაცია

კომპანია აქტივებს და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად/გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ხელმძღვანელობა მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს თავდაპირველი აღიარებისას და განმეორებით აფასებს მას.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში, გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით აღირიცხება, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით;
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- ▶ მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით.

კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ▶ ფინანსური აქტივი ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენენ მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც კომპანია ფლობს 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიეკუთვნება სესხებისა და დებიტორული დავალიანებების კატეგორიას და შემოიფარგლება ფულადი სახსრებით და მათი ეკვივალენტებით და სავაჭრო მოთხოვნებით.

კომპანიამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი უნდა აღრიცხოს თავის ყველა სავალო ფინანსურ აქტივზე ამორტიზებული ღირებულებით. კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვის ნაცვლად, კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ კომპანია სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ თუ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა, ან რამდენად შეინარჩუნა მან ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, ის აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას მის მიერ ამ აქტივის შემდგომი გამოყენების ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ შენარჩუნებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, კრედიტორული დავალიანება ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად, ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას და მოიცავს პროცენტთან სესხებს და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტირების ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობების ან მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობების საფუძველზე, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის განსხვავება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება, ხოლო წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები მთლიანად აღრიცხულია პირვანდელი ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული დაგროვილი ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. პირვანდელი ღირებულება მოიცავს შესყიდვებთან პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს. კომპანიის მიერ შექმნილი აქტივების თვითღირებულება მოიცავს მასალისა და შრომის პირდაპირ დანახარჯებს და ყველა სხვა ხარჯს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის შესაბამის მდგომარეობაში მოყვანის, დემონტაჟის და მოხსნის ხარჯებს, ასევე იმ ტერიტორიის რეაბილიტაციის ხარჯებს, რომლებზეც ეს აქტივებია განთავსებული. კომპანიის აქციების სანაცვლოდ აქციონერების მიერ კაპიტალში შეტანილი აქტივების თვითღირებულება ფასდება ამ აქტივების სამართლიანი ღირებულებით, თუ შეუძლებელი არ იქნება სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ შეფასება. თუ კომპანიას არ შეუძლია მიღებული არაფულადი აქტივების სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ შეფასება, მან უნდა შეაფასოს მათი ღირებულება და შესაბამისი ზრდა კაპიტალში არაპირდაპირ, გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების მიხედვით.

თუ ძირითადი საშუალებების ერთეულებს სხვადასხვა სასარგებლო გამოყენების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯის აღიარება ხდება მისი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(iii) ცვეთა

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადებია:

მანქანა-დანადგარები	20-55 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	3-5 წელი
საოფისე აღჭურვილობა	3-5 წელი

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო გამოყენების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

(ე) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით აფასებს თითოეული საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან მისი ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრა (გაგრძელება)

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ საბაზრო - და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

(ვ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც საჭირო გახდა მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, გაუფასურების ნიშნების აღმოჩენის მიზნით. ასეთი ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, განისაზღვრება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენითი ღირებულება არის გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის ხარჯით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაუფასურებაზე შემოწმების მიზნით აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ მოწმდება, ჯგუფდება უმცირეს ჯგუფებად, რომლებიც სხვა აქტივებისგან, აქტივების ჯგუფისგან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისგან დამოუკიდებლად წარმოქმნის ფულად ნაკადებს უწყვეტი გამოყენების პირობებში.

გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი.

ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი პროპორციულად გადანაწილდება ამ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში არსებული აქტივების საბალანსო ღირებულებაზე. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება. ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის ფასდება არსებობს თუ არა იმის ნიშნები, რომ გაუფასურებით გამოწვეული უკვე აღიარებული ზარალი შეიძლება აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. აღდგენის შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის აღდგენით ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც მას ექნებოდა, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი აღდგენა აღირიცხება გაუფასურების შებრუნების სახით, თუ აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით. ამ შემთხვევაში შებრუნება აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) გადასახადები

(i) მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-11 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში აღირიცხება.

(ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა:

- ▶ იმ შემთხვევებისა, თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, მისი აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ დებიტორული და კრედიტორული დავალიანებებისა, რომლებიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დღე აქტივის (ანაზღაურებადი დღე) ან ვალდებულების ნაწილში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკებში პროცენტის მიმდინარე ანგარიშებისგან.

(კ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ არასახელშეკრულებო ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად, ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სარწმუნოდ განსაზღვრა. ნებისმიერ ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯი წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

(ლ) ოპერაციები წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით

მიღებული არაფულადი აქტივები და შესაბამისი ზრდა კაპიტალში ფასდება ამ აქტივების სამართლიანი ღირებულებით, თუ ამ სამართლიანი ღირებულების წინასწარ სარწმუნოდ შეფასება შეუძლებელია. თუ მიღებული არაფულადი აქტივების სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ შეფასება შეუძლებელია, ამ აქტივების ღირებულება და შესაბამისი ზრდა კაპიტალში ფასდება გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების მიხედვით.

(მ) შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია ელექტროენერგიის წარმოების სფეროში საქმიანობს. გამომუშავებული ელექტროენერგია იყიდება სს „ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორზე“. ელექტროენერგია იყიდება ცალკეული ხელშეკრულების ფარგლებში და ელექტროენერგიის რეალიზაცია ერთადერთ შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს. შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილებულია და შემოსავლის აღიარება ისეთ დროს მოხდება, როდესაც აქტივზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, რაც აქტივის ჩაბარების მომენტში ხდება.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(მ) შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან (გაგრძელება)

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებელის შემოძინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით.

ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი გამოითვლება ყოველთვიურად მომხმარებლებისთვის მიყიდული ელექტროენერგიის ოდენობის საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება საქართველოს მაღალი ძაბვის ელექტროქსელის ოპერატორის - საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ გაცემული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტით.

(ნ) სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. როგორც მოსალოდნელია, მათ არ ექნებათ მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში: „საქმიანობის განსაზღვრა“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 1-სა და ბასს (IAS) 8-ში: „ტერმინის „არსებითი“ განმარტება“;
- ▶ საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებლის რეფორმა: ცვლილებები ფასს (IFRS) 9, ბასს (IAS) 39-სა და ფასს (IFRS) 7-ში.

(ო) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შეცვლილი სტანდარტები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავრცელდა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ფასს (IFRS) 16 - იჯარა

კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს (IFRS) 16 „იჯარა“. ამ ახალი სააღრიცხვო სტანდარტის მიღებით გამოწვეული ცვლილებების ხასიათი და ეფექტი ქვემოთ არის აღწერილი.

ფასს (IFRS) 16 ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ეს სტანდარტი განსაზღვრავს იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპებს და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ერთი საბალანსო უწყისის მოდელის ფარგლებში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ო) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შეცვლილი სტანდარტები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავრცელდა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გაგრძელება)

მეიჯარისეული აღრიცხვა ფასს (IFRS) 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს (IAS) 17-სგან. მეიჯარეები განაგრძობენ იჯარების კლასიფიცირებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარებად, ბასს (IAS) 17-ის მსგავსი პრინციპების გამოყენებით. შესაბამისად, ფასს (IFRS) 16 არ აქვს გავლენა იმ იჯარებზე, რომელშიც კომპანია მეიჯარეა.

კომპანიამ მიიღო ფასს (IFRS) 16, მიღების მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით, რომლის თავდაპირველი გამოყენების თარიღია 2019 წლის 1 იანვარი. კომპანიამ მიიღო გარდამავალი პრაქტიკული გამოცდილების გამოყენების გადაწყვეტილება, რათა განმეორებით არ შეეფასებინა ხელშეკრულება წარმოადგენს ან მოიცავს თუ არა იჯარას 2019 წლის 1 იანვარს. ამის ნაცვლად კომპანიამ სტანდარტი გამოიყენა მხოლოდ იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც თავდაპირველი გამოყენების თარიღში იჯარებად განისაზღვრა ბასს (IAS) 17 და ფასიკ (IFRIC) 4-ის გამოყენებით.

კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს თავდაპირველი გამოყენების თარიღში ადრე საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებული იჯარებისთვის ბასს (IAS) 17-ის გამოყენებით. საიჯარო ვალდებულება შეფასდა დარჩენილი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, თავდაპირველი აღიარების თარიღში მოიჯარის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით დისკონტირების გზით. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივი აღიარდა თავდაპირველი გამოყენების თარიღში ადრე ბასს (IAS) 17-ის საფუძველზე საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებული იჯარებისთვის, რომელიც იცვლება თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულ იჯარასთან დაკავშირებით ნებისმიერი ავანსად გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადახდების გათვალისწინებით.

კომპანია იჯარით იღებს საოფისე ფართს ყოველთვიური გადახდების საფუძველზე. თუმცა ხელშეკრულებას ერთწლიანი ვადა აქვს, კომპანიამ განსაზღვრა იჯარის განახლების შესაძლებლობა, რომლით სარგებლობაც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. იჯარის ვადა 5 წლით განისაზღვრა. კომპანია განმეორებით შეაფასებს იჯარის ვადას იმის გადასამოწმებლად, ხომ არ არსებობს მნიშვნელოვანი მოვლენა ან ცვლილება ვითარებებში, რომელიც მისი კონტროლის ფარგლებშია ან მოქმედებს მის მიერ იჯარის განახლების უფლებით სარგებლობის (ან არ სარგებლობის) უნარზე (მაგ. ბიზნეს სტრატეგიის ცვლილება).

ფასს (IFRS) 15-ის მიღებისთანავე, კომპანია აღიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას 434 ლარის ოდენობით, 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ფასს (IFRS) 16-ის მიღებას გავლენა არ მოუხდენია კაპიტალზე. ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 7.85%-ს. კომპანიას არ აქვს მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები 2019 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ო) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შეცვლილი სტანდარტები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავრცელდა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია კომპანიის გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების და საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და მოძრაობა 2019 წლის განმავლობაში:

	გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები	საიჯარო ვალდებულებები
2019 წლის 1 იანვარს	434	434
შესყიდვები	–	
ცვეთის ხარჯი	(63)	
საპროცენტო ხარჯი	–	34
გადახდები	–	(101)
საკურსო სხვაობა	–	21
2019 წლის 31 დეკემბერს	371	388

ფასს (IFRS) 16-თან ერთად, კომპანიამ პირველად გამოიყენა შემდეგი ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებსაც არანაირი გავლენა არ მოუხდენიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ ფასიკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“;
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში „საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 28-ში „გრძელვადიანი მონაწილეობა მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 19-ში: „გემის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება“;
- ▶ ფასს-ის ყოველწლიური გაუმჯობესების პროცესი:
 - ▶ ფასს (IFRS) 3 „საწარმოთა გაერთიანება“ - ადრე არსებული ინტერესები ერთობლივ საქმიანობაში;
 - ▶ ფასს (IFRS) 11 „ერთობლივი საქმიანობა“ - ადრე არსებული ინტერესები ერთობლივ საქმიანობაში;
 - ▶ ბასს (IAS) 12 „მოგებიდან გადასახადები“ - მოგების გადასახადის გავლენა საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე განხორციელებულ გადახდებზე;
 - ▶ ბასს (IAS) 23 „ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები“ - კაპიტალიზაციისთვის განკუთვნილი ნასესხები სახსრები

კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

5. შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რაც გავლენას ახდენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარმოდგენილი შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე და პირობითი ვალდებულებების განმარტებით შენიშვნებზე. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

შეფასებების და დაშვებების გამოყენება

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

ტყის მასივის აღდგენის ხარჯის რეზერვი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან გაფორმებული სასესიო ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას დაევალა სოციალური და ეკოლოგიური განვითარების გეგმის შემუშავება. ამ გეგმაში ჩადებული ერთ-ერთი მოთხოვნა ტყის მასივის აღდგენაა.

ტყის მასივის აღდგენის 2017 წლამდე მომზადებული სამუშაო გეგმის მიხედვით, მთელი ტერიტორიის ტყის მასივის აღდგენის სამუშაოები 2016-2021 წლებში უნდა ჩატარდეს. ამ რეზერვის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას გაკეთდა წინასწარი შეფასებები დისკონტირების განაკვეთთან და ხარჯთაღრიცხვასთან დაკავშირებით. რეზერვის საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,101 ლარი (2018 წ.: 1,837 ლარი). კომპანიის შეფასებით, დანახარჯების რეალიზაცია მოხდებოდა 14 წლის ვადაში ტყის მასივების აღდგენის სამუშაოს დასრულებისთანავე და გამოითვლის რეზერვს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით 7.5%-იან დისკონტირების განაკვეთზე დაყრდნობით.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა	საოფისე აღჭურვილობა	ავტოსატრან- სპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	სათადარიგო ნაწილები	სულ
თვითღირებულება						
2017 წლის 31 დეკემბერს	2	137	245	251,620	357	252,361
შესყიდვები	–	18	–	67	–	85
2018 წლის 31 დეკემბერს	2	155	245	251,687	357	252,446
შესყიდვები	12	71	115	24	–	222
გასვლები	–	–	(84)	–	–	(84)
2019 წლის 31 დეკემბერს	14	226	276	251,711	357	252,584
დაგროვილი ცვეთა						
2017 წლის 31 დეკემბერს	–	(65)	(116)	(7,395)	–	(7,576)
ცვეთა წლის განმავლობაში	–	(16)	(30)	(6,845)	–	(6,891)
2018 წლის 31 დეკემბერს	–	(81)	(146)	(14,240)	–	(14,467)
ცვეთა წლის განმავლობაში	–	(19)	(41)	(6,855)	–	(6,915)
გასვლები	–	–	55	–	–	55
2019 წლის 31 დეკემბერს	–	(100)	(132)	(21,095)	–	(21,327)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2018 წლის 31 დეკემბერს	2	74	99	237,447	357	237,979
2019 წლის 31 დეკემბერს	14	126	144	230,616	357	231,257

2014 წლის 12 აგვისტოს კომპანიამ გააფორმა პირობითი დათმობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც კომპანიის მთლიანი ნაგებობა და მანქანა-დანადგარები გადაეცემა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს მისი სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში.

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2019	2018
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	11,998	5,520

ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა 2019 წლისთვის 526 ლარი შეადგინა (2018 წ.: 2017 ლარი).

შეზღუდული წვდომის დეპოზიტები მოიცავს 5,813 ლარის ოდენობის ფულად სახსრებს (2018 წ.: 9,697 ლარი), რომლებიც ასრულებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების მიხედვით სავალდებულო სესხის მომსახურების ანგარიშის ფუნქციას (მე-9 შენიშვნა). შეზღუდული წვდომის დეპოზიტებზე საპროცენტო შემოსავალი 2019 წელს 58 ლარს შეადგენდა (2018 წ.: 90 ლარი).

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

8. კაპიტალი

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შედგება 47,433,333 ნებადართული და გამოშვებული ხმის თანაბარი უფლების მქონე ჩვეულებრივი აქციისგან, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება 1 აშშ დოლარია.

კომპანიის ავტორიზებული და გამოშვებული აქციების რაოდენობა 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

შპს „ენერგია“	21,000,000
შპს „ფერი“	14,883,333
Lock W. Home Irrevocable Trust dated December 2012	11,550,000
	<u>47,433,333</u>

კომპანიის საწესდებო კაპიტალი აშშ დოლარშია გამოხატული. 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 33,333,333 ჩვეულებრივი აქცია დაგირავებული იყო მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

9. პროცენტის სესხები

	2019	2018
პროცენტის სესხების მიმდინარე ნაწილი	33,270	32,781
პროცენტის სესხების გრძელვადიანი ნაწილი	138,518	152,617
სულ პროცენტის სესხები და გადასახდელი ანგარიშები	171,788	185,398

2014 წლის 12 აგვისტოს კომპანიამ გააფორმა სასესხო ხელშეკრულება 80,000 ათასი აშშ დოლარის საკრედიტო ხაზზე (დაახლოებით 211,744 ლარი) ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საკრედიტო ხაზი გამოხატულია აშშ დოლარში და აქვს 10-წლიანი ვადა.

პროცენტის სესხებზე საპროცენტო ხარჯი 2019 წლისთვის 8,750 ლარს (2018 წ.: 16,351 ლარი) შეადგენდა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან სასესხო ხელშეკრულების პირობებს.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

10. სუბორდინირებული სასესხო ვალდებულება აქციონერის მიმართ

2018 წლის 1 აპრილს კომპანიამ სესხის ხელშეკრულება გააფორმა შპს „ფერთან“ (აქციონერი). ამ სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად, ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება 15,646 ლარის ოდენობით, მითითებულ თარიღში დაიფარა და სანაცვლოდ წარმოიშვა გრძელვადიანი სესხი. სესხი დამოკიდებულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სესხზე და არ აქვს დადგენილი დაფარვის ვადა. ხელმძღვანელობის შეფასებით, დაფარვა ვერ მოხდება 2021 წლის 31 მაისამდე, მიღებული წერილიდან გამომდინარე, რომელშიც შპს „ფერი“ ადასტურებს, რომ ის არ მოითხოვს ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდას ამ თარიღამდე, თუ ეს დააზიანებს კომპანიის ფინანსურ სტაბილურობას.

ამ სესხებზე საპროცენტო ხარჯი 2019 წლისთვის 1,881 ლარს (2018 წ.: 1,090 ლარი) შეადგენდა.

11. მოგების გადასახადი

საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიამ მთლიანად შემოაბრუნა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ბასს (IAS) 12-ის („მოგებიდან გადასახადები“) შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები შეეფასებინა 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც გაუნაწილებელ მოგებასთან მიმართებაში 2017 წლის 1 იანვრიდან გამოიყენება.

2019 და 2018 წლებში კომპანიამ მოგების გადასახადის ხარჯი არ აღიარა განაწილებულ მოგებაზე, რადგან ამ წელს დივიდენდები არ გამოუცხადებია

12. შემოსავალი

2014 წლის 18 ივლისს კომპანიამ „ესკო“-სთან გააფორმა ხელშეკრულება ათი წლის განმავლობაში ელექტროენერგიის გარანტირებულ შესყიდვაზე.

ამ ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას ევალება ელექტროენერგიის მიწოდება „ესკო“-სთვის ზამთრის თვეებში (დეკემბერში, იანვარსა და თებერვალში) გარანტირებულ ფასად - 1 კვტ/სთ 6.5 აშშ ცენტად. კომპანიას უფლება აქვს გაყიდოს, ხოლო „ესკო“ ვალდებულია იყიდოს კომპანიისგან ელექტროენერგია გარანტირებულ ფასად - 1 კვტ/სთ 6.5 აშშ ცენტად ოქტომბერში, ნოემბერსა და მარტში, ხოლო 1 კვტ/სთ 5.5 აშშ ცენტად დანარჩენი ექვსი თვის განმავლობაში.

2019 და 2018 წლების განმავლობაში კომპანია ელექტროენერგიას მხოლოდ „ესკო“-ზე ყიდოდა. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 3,687 ლარის სავაჭრო მოთხოვნები „ესკო“-ს უკავშირდება (2018 წ.: 4,099 ლარი). სავაჭრო მოთხოვნები არ არის ვადაგადაცილებული, პროცენტი არ ერიცხებათ და მათი დაფარვის ვადა 15 დღეა.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

13. სხვა ხარჯები

	2019	2018
დაზღვევა	635	609
პროფესიული მომსახურება	204	212
დაცვა-უსაფრთხოების ხარჯები	167	138
სარემონტო ხარჯები	153	–
საწევრო შენატანი	146	–
საწვავი	44	53
კომუნალური მომსახურება	25	29
ბანკის მომსახურების საკომისიო	22	24
წარმომადგენლობითი ხარჯები	5	3
იჯარა და ქირა	–	98
სხვა	559	274
	1,960	1,440

14. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა

მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება პროცენტიანი სესხებისგან, ასევე ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია კომპანიის კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების დაფინანსება. კომპანიას მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული აქვს საწესდებო კაპიტალის გამოშვების შედეგად მიღებული და პროცენტიანი სესხების სახით ნასესხები ფულადი სახსრები.

კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები.

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ჯგუფს ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს ფინანსური საქმიანობიდან გამომდინარე, ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული ანაზრების ჩათვლით.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

14. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა (გაგრძელება)

(ა) საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს მხოლოდ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების (ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში), შეზღუდული წვდომის დეპოზიტებისა და სავაჭრო მოთხოვნების ოდენობით. ნაღდი ფულის ნაშთი განთავსებულია ერთ-ერთ უმსხვილეს ქართულ ბანკში, ხოლო შეზღუდული წვდომის დეპოზიტები განთავსებულია ერთ-ერთ უდიდეს გერმანულ ბანკში. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, შეზღუდული წვდომის დეპოზიტები და სავაჭრო მოთხოვნები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.

(ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების საშუალებით. მე-3 შენიშვნაში უფრო დეტალურად არის აღწერილი ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკი.

ქვემოთ მოცემული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული სახელშეკრულებო ვადები. ძირითად საშუალებებში გადასახდელ ანგარიშებთან და სხვა კრედიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ვადები და თანხები სავარაუდოდ არ იქნება განსხვავებული ვადიანობის ანალიზში აღწერილისგან.

2019 წლის 31 დეკემბერი	საბალანსო ლირებულება	სახელშეკრუ- ლებო ფულადი ნაკადები	0-3 თვე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
ფინანსური ვალდებულებები						
პროცენტიანი სესხები	171,788	208,582	18,721	15,414	134,074	40,373
სუბორდინირებული სასესხო ვალდებულება აქციონერის მიმართ	23,775	32,279	–	–	32,279	–
ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	754	754	310	–	444	–
სხვა კრედიტორული დავალიანება	53	53	53	–	–	–
საიჯარო ვალდებულება	388	438	28	84	326	–
	196,758	242,106	19,112	15,498	167,123	40,373

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

14. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა (გაგრძელება)

(ბ) ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბერი	საბალანსო ლირებულება	სახელშეკრუ- ლებო ფულადი ნაკადები	0-3 თვე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი
ფინანსური ვალდებულებები						
პროცენტიანი სესხები	185,399	233,864	16,351	5,033	130,647	69,540
სუბორდინირებული სასესხო ვალდებულება აქციონერის მიმართ	20,682	26,829	–	–	26,829	–
ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	648	656	164	71	421	–
სხვა კრედიტორული დავალიანება	12	12	–	12	–	–
	206,741	261,361	16,515	5,116	157,897	69,540

(გ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს, მოიცავს პროცენტიან სესხებს, ძირითად საშუალებებში გადასახდელ თანხებს, სხვა კრედიტორული დავალიანებას და ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიისთვის დამახასიათებელი სავალუტო რისკი ძირითადად უკავშირდება კომპანიის უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფინანსურ ვალდებულებებს.

მგრძნობელობის ანალიზები მომზადდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების პროპორციული წილი უცხოურ ვალუტაში მუდმივია.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

14. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა (გაგრძელება)

(გ) საბაზრო რისკი (გაგრძელება)

კომპანია არ ახდენს გაცვლითი კურსის რისკის წინააღმდეგ ჰეჯირებას.

კომპანიის სავალუტო რისკები ასეთია:

	აშშ დოლარში გამოხატული	
	2019	2018
პროცენტიანი სესხები	(171,788)	(185,398)
საიჯარო ვალდებულებები	(388)	–
სუბორდინირებული სასესხო ვალდებულება აქციონერის მიმართ	(23,775)	(20,681)
ძირითად საშუალებებზე გადასახდელი თანხები	(754)	(648)
შეზღუდული წვდომის დეპოზიტები	5,813	9,697
აქტივების გამოყენების უფლება	371	–
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11,998	2,950
რისკის ნეტო ოდენობა	(178,523)	(194,080)

მოქმედებდა შემდეგი გაცვლითი კურსები:

	საშუალო კურსი წლის განმავლობაში		სპოტ გაცვლითი კურსი 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	2019	2018	2019	2018
ლარი/აშშ დოლარი	2.8192	2.5345	2.8677	2.6766

აშშ დოლართან მიმართებაში ლარის გამყარება/გაუფასურება 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგების ან ზარალის ქვემოთ წარმოდგენილ თანხებს შემდეგნაირად გაზრდიდა/(შემამცირებდა):

	გამყარება	გაუფასურება
2019 წლის 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი (+10%/-5%-იანი ცვლილება)	17,851	(8,925)
2018 წლის 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი (13.50%-იანი ცვლილება)	26,201	(26,201)

თუმცა, იქედან გამომდინარე, რომ კომპანიის ძირითადი ფულადი ნაკადები აშშ დოლარშია გამოხატული (მე-3 შენიშვნა), ცვლილებას გაცვლით კურსებში მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

14. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა (გაგრძელება)

(გ) საბაზრო რისკი (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

პროცენტულ განაკვეთთან დაკავშირებული რისკი გამოიხატება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე საპროცენტო განაკვეთების მოძრაობის უარყოფით ზეგავლენაში, რაც აისახება მოზიდულ ფინანსურ საშუალებებზე დარიცხული პროცენტების ზრდით ან გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან მიღებული მოგების შემცირებით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია მოზიდულ დაფინანსებასთან დაკავშირებით აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან მიღებულ სესხს აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი (მე-9 შენიშვნა).

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს სესხებზე და გადასახდელ ანგარიშებზე არსებულ საპროცენტო განაკვეთებში შესაძლო ცვლილებების ეფექტს კომპანიის გადასახადებამდე არსებულ მოგებაზე, სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობით:

	აშშ დოლარის კურსის ცვლილება	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე
2019	+0.99%	3,106
	-0.99%	(3,106)
2018	+1.23%	3,963
	-1.23%	(3,963)

(დ) კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი შედგება კომპანიის საკუთარ კაპიტალში აქციონერის შენატანისგან, დამატებით შეტანილი კაპიტალისგან (გადაფასების შედეგად მიღებული შემოსულობა ქოლ-ოფციონის გამოყენების შემდეგ) და დაგროვილი ზარალისგან.

კომპანიაზე არ ვრცელდება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები. კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

15. სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხდება იმ თანხის დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შემდგარი გარიგების დროს. თუმცა, განუსაზღვრელობების და სუბიექტური მოსაზრების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების დაფარვით.

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, გარდა პროცენტიანი სესხებისა, ხასიათდება მოკლევადიანობით და შესაბამისად მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

პროცენტიანი სესხების სამართლიანი ღირებულება ასევე უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას იმდენად, რამდენადაც სესხების საპროცენტო განაკვეთები ექცევა ბაზარზე მსგავსი ფინანსური გარიგებებისთვის განსაზღვრული გავრცელებული საპროცენტო განაკვეთების ჩარჩოებში.

ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც ცნობილია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 დონით ფასდება.

16. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებით და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

16. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

საოპერაციო გარიგებები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შესაბამის ფინანსურ წელს:

აქციონერები	ძირითადი საშუალებების შემენა	მიღებული მომსახურება	საიჯარო ხარჯი	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები
2019					
შპს „ენერგია“	12	–	71	247	–
შპს „ფერი“	–	38	–	24,257	1,881
2018					
შპს „ენერგია“	–	7	79	166	–
შპს „ფერი“	–	71	–	21,163	1,157

კომპანიის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება

2019 წლის განმავლობაში უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ხარჯად აღიარებული თანხები 149 ლარს შეადგენდა (2018 წ.: 124 ლარი).

17. პირობითი ვალდებულებები

კომპანიასა და სს „ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება

2014 წლის 18 ივლისს კომპანიასა და „ესკო“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის თაობაზე. ამ ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას ევალება ელექტროენერგიის „ესკო“-თვის მიწოდება ზამთრის თვეებში (დეკემბერში, იანვარსა და თებერვალში) გარანტირებულ ფასად - 1 კვტ/სთ 6.5 აშშ ცენტად.

სს „დარიალი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

18. ცვლილებები ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

ცვლილებები ფინანსური საქმიანობით წარმოშობილ ვალდებულებებში არის შემდეგი:

	2019 წლის 1 იანვარი	ფულადი ნაკადები	ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	სავალუტო კურსის მოძრაობა	2019 წლის 31 დეკემბერი
პროცენტიაწიანი სესხი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან	185,398	(34,775)	8,750	12,415	171,788
სუბორდინირებული სასესხო ვალდებულება აქციონერის მიმართ	20,681	–	1,881	1,213	23,775
	2018 წლის 1 იანვარი	ფულადი ნაკადები	ფინანსურ არაფულადი მუხლების მოძრაობა*	სავალუტო კურსის მოძრაობა	2018 წლის 31 დეკემბერი
პროცენტიაწიანი სესხი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან	194,202	(30,208)	–	16,351	185,398
სუბორდინირებული სასესხო ვალდებულება აქციონერის მიმართ	–	–	15,646	3,023	20,681

*-არაფულად მოძრაობაში შესულია 15,646 ლარის ძირითადი საშუალებების კრედიტორული დავალიანება, რომელიც სუბორდინირებულ სესხად გადაკეთდა (მე-10 შენიშვნა).

19. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები

2020 წლის მარტში, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი („COVID-19“) გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. პანდემიით გამოწვეული გლობალური შენელების სიმძლავრესთან და საქართველოს ეკონომიკაზე მის გავლენასთან დაკავშირებით გაურკვეველი ვითარებაა. COVID-19-ის პირველი შემთხვევა საქართველოს დაავადებათა კონტროლის ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა. საქართველოს მთავრობამ გაატარა კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისკენ მიმართული რიგი ღონისძიებებისა, რომლებსაც მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური გავლენა ჰქონდა. მოსალოდნელია, რომ მომავალში COVID-19-ის გავრცელებას საქართველოსა და მთელს მსოფლიოში უარყოფითი გავლენა ექნება ეკონომიკაზე, თუმცა ჯერ ძალიან ადრეა კომპანიის საქმიანობაზე ამ გავლენის მთელი სიგრძე-სიგანით შეფასება.

კომპანია აკონტროლებს ვირუსის გავრცელების გავლენას მის საქმიანობაზე, კლიენტებსა და თანამშრომლებზე და იცავს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ყველა ოფიციალურ სახელმძღვანელო მითითებას, რათა დაიცვას თავისი ხალხი და უზრუნველყოს საქმიანობის უწყვეტობა. ხელმძღვანელობის აზრით, ეპიდემიას არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის საოპერაციო საქმიანობებზე, რადგან ელექტროენერგიის რეალიზაცია გარანტირებულია ფიქსირებული ტარიფით აშშ დოლარში (მე-12 შენიშვნა). ხელმძღვანელობა COVID-19-ის გავრცელებას მიიჩნევს საბალანსო უწყისის შემდგომ შეუცვლელ მოვლენად.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „იუაის“ მიერ 2020 წლის 24 აპრილს გამოშვებული ინგლისურენოვანი აუდიტის დასკვნის თარგმანს.

წინამდებარე თარგმანსა და აუდიტის დასკვნის ინგლისურენოვან ორიგინალს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „დარიალ ენერჯის“ ხელმძღვანელებს და აქციონერებს

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 24 აპრილს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვითარებთ წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ალექსეი ლოზა



შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2020 წლის 30 სექტემბერი

სს დარიალი ენერჯის მმართველობითი ანგარიშგება 2019 საქმიანობის მიმოხილვა

სს დარიალი ენერჯი (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას რომელიც დაარსებულია და მდებარეობს საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია ჩაჩავას ქ. 8, თბილისი საქართველო. სს დარიალი ენერჯის ძირითადი საქმიანობა არის ელექტროენერგიის გენერაცია და გაყიდვა. კომპანიის ძირითადი საოპერაციო აქტივი არის დარიალის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც მდებარეობს დარიალში, ყაზბეგის რაიონი. ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობა დასრულდა 2016 წლის ნოემბერში და 2016 წლის 30 დეკემბრიდან კომპანიამ დაიწყო ელექტროენერგიის გენერაცია და გაყიდვა. კომპანიის ძირითადი მესაკუთრე-ბენეფიციარები არიან:

	31 დეკემბერი 2019
შპს „ენერგია“	44.27%
შპს „ფერი“	31.38%
Lock W. Home Irrevocable Trust dated December 2012	24.35%
სულ	100.00%

2020 წლის 28 აპრილის განხორციელდა შპს „ფერი“-ს წილის გასხვისება, რომელიც მთლიანად შეისყიდა იაპონური ენერგეტიკული კომპანია TEPCO-ს შვილობილმა კომპანიამ TEPCO Renewable Power Singapore Pte Ltd.

კომპანია, წესდების შესაბამისად, წელიწადში ერთხელ, სამეურნეო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს სამი თვის ვადაში, ატარებს აქციონერთა კრებას, სადაც განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას წლიური შედეგების შესახებ.

კომპანია აღრიცხვა-ანგარიშსწორებას აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. კომპანიას საბუღალტრო მომსახურებას უწევს შპს „ფინანსური მართვის ჯგუფი“. სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავება და ასახვა ხდება საბუღალტრო პროგრამა „ინფო“ საწარმოში. თითოეული სააღრიცხვო დოკუმენტი/ინფორმაცია მოწმდება კომპანიის უფლებამოსილ პირთან და მხოლოდ ვალიდურობის დადასტურების შემდგომ ხდება შესაბამისი ინფორმაციის ასახვა ელექტრონულ საბუღალტრო ჩანაწერებში. ყოველი თვის სააღრიცხვო ინფორმაციის შეყვანა ელექტრონულ საბუღალტრო ჩანაწერებში ხდება არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მზადდება ყოველკვარტლურად და აგრეთვე მზადდება წლიური ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. კომპანიას აუდიტორულ მომსახურებას უწევს შპს „იუი“.

როგორც ჩანს ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან, კომპანია წარმოადგენს მეორე კატეგორიის საწარმოს, რადგან სამი კრიტერიუმიდან 2 სრულდება. კერძოდ დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა არის ნაკლები 250-ზე და საანგაროშო პერიოდის განმავლობაში ერთობლივი შემოსავალი ნაკლებია 100 მილიონ ლარზე.

	31 დეკემბერი 2019
აქტივების ჯამური ღირებულება	253 693 000 ლარი > 50 000 000 ლარი
2019 წლის შემოსავალი	43 540 000 ლარი < 100 000 000 ლარი
2019 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	59 დასაქმებული < 250

სს დარიალი ენერჯის აქციები არ ივაჭრება საფოდნო ბაზარზე.

სს დარიალი ენერჯი ფოკუსირებულია ელექტროენერგიის გენერაციაზე და გაყიდვაზე და არ გეგმავს ახლო მომავალში ეკონომიკის სხვა სექტორებში აქტიურობას. კომპანიის მენეჯმენტი მოტივირებულია და ფოკუსირებულია კომპანიის სტაბილურ ზრდაზე, რაც გამოიხატება კომპანიის აქტიურ ჩართულობაში ელექტრო-ენერგიის გადამცემი ხაზების რეაბილიტაციის პროცესში, რომელიც დასრულდა 2019 წლის სექტემბერში. 2019, 2017 და 2016 წლებში კომპანიამ გაწია გადამცემი ხაზების რეაბილიტაციის ხარჯები 811,000, 302,000 და 3,337,000 ლარის ოდენობით შესაბამისად. გადამცემი ხაზები არის სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მფლობელობაში.

სს დარიალი ენერჯისთვის, როგორც ენერგეტიკული სექტორის კომპანიისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი რისკები და გაურკვევლობები მოიცავს: ბუნებრივ სტიქიურ მოვლენებს, ეკონომიკურ რყევებს ქვეყანაში და მის გარეთ, სავალუტო და საკრედიტო რისკებს. დღეის მდგომარეობით გადამცემი ხაზების რეაბილიტაცია/შენეშლობა დასრულებულია. შედეგად კომპანიას აქვს საშუალება გამოიმუშაოს 2-ჯერ მეტი ელექტროენერგია, ვიდრე წინა პერიოდებში. გენერაციის მატება თავის მხრივ მნიშვნელოვნად გაზრდის კომპანიის შემოსავლებს და კომპანია მომავალ პერიოდებში შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, მათ შორის გარემოს დაცვით ვალდებულებებს.

2020 წლის დასაწყისში დადასტურდებულმა ახალმა კორონავირუსისმა (COVID-19 ბიზნესსაქმიანობისა და ეკონომიკის შეფერხება გამოიწვია მსოფლიოს მასშტაბით. ვირუსის გავრცელებას არ წარმოუქმნია არსებითი შეფერხება კომპანიის საქმიანობაზე.

ვინაიდან ვითარება ცვალებადია, შესაძლებელია მან გავლენა იქონიოს კომპანიის სამომავლო ფინანსურ პოზიციაზე, თუმცა ამის რაოდენობრივი შეფასება ხელმძღვანელობას პრაქტიკული თვალსაზრისით არ მიაჩნია მართებულად.

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები არის სესხის მომსახურება, ქონების გადასახადი და სხვა. 2014 წლის 12 აგვისტოს კომპანიამ გააფორმა სასესხო ხელშეკრულება ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან, რომლის საფუძველზე კომპანიამ მიიღო 80 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის 10 წლიანი სესხი. 2019 წელს კომპანიის მიერ სესხის ხელშეკრულების მომსახურების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 10,555,000 ლარი. კომპანიას ასევე გააჩნია სუბორდინებული გრძელვადიანი სესხი დამფუძნებელი კომპანიის (შპს „ფერი“) მიმართ, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთო ოდენობით 23,775,000 ლარი. აღნიშნული სესხის და მისი მომსახურების ხარჯების გადახდა ურთიერთ შეთანხმებით გადავადებულია 2020 წლის სექტემბრამდე. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ლარებში გამოსახული სასესხო ვალდებულების თანხები 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2019	2018
პროცენტუანი სესხების მიმდინარე ნაწილი	33,270,000	32,781,000
პროცენტუანი სესხების გრძელვადიანი ნაწილი	138,518,000	152,617,000
სუბორდინირებული გრძელვადიანი სესხი	23,775,000	20,681,000
სულ პროცენტუანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები	195,563,000	206,079,000

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო და საბაზრო რისკებს და აგრეთვე ლიკვიდურობის რისკს.

ზოგადად, საკრედიტო რისკი დაკავშირებულია საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან და დებიტორულ დავალიანებებთან. კომპანიის თანხები განთავსებულია უდიდეს ქართულ და გერმანულ ბანკებში, რაც ახდენს საკრედიტო რისკების მინიმიზირებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიას არ აქვს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები.

ლიკვიდურობის რისკი დაკავშირებულია კომპანიის ვალდებულებასთან მოემსახუროს ფინანსურ ვალდებულებებს (სესხი), გაწიოს მიმდინარე საოპერაციო ხარჯები და სხვა. რადგანაც, კომპანიის ძირითადი საოპერაციო აქტივის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დასრულდა 2016 წლის ბოლოს, კომპანიის მენეჯმენტი არ მოელის მატერიალურ კაპიტალურ დანახარჯებს უახლოესი ერთი წლის განმავლობაში. მენეჯმენტი ახორციელებს ლიკვიდურობის რისკის ფრთხილ მართვას, რაც გულისხმობს საკმარისი თანხების მოგროვებას საბანკო ანგარიშზე, რათა მოემსახუროს სასესხო ვალდებულებებს. სასესხო ხელშეკრულების თანახმად კომპანია ვალდებულია მუდმივად ჰქონდეს რეზერვი უცხოურ ბანკში, რომელიც უნდა იყოს მომავალი სასესხო გადასახადის ტოლი. რადგანაც, კომპანია ვერ ახერხებდა ელექტრო ენერგიის გენერაციას სრული დატვირთვით გადამცემი ხაზების რეაბილიტაცია/შენეშლობის დასრულებამდე, მიღწეულ იქნა შეთანხმება საკრედიტო ინსტიტუტთან, რომ სასესხო ვალდებულების დასაფარად გამოყენებულ იქნებოდა სარეზერვო თანხა. მიღწეული შეთანხმება ძალაში დარჩა 2020 წლის 1 მარტამდე. აღნიშნული თარიღიდან კომპანიას აქვს საშუალება მუდმივად იქონიოს შევსებული რეზერვი უცხოურ ბანკში და შეასრულოს მიმდინარე ვალდებულებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სს „ელექტროსისტემების კომერციულ ოპერატორ“-თან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად კომპანიის შემოსავლები ელექტროენერგიის გაყიდვიდან გარანტირებულია და ფასიც ფიქსირებულია. ელექტროენერგიის ფასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ კომპანიასა და სახელმწიფოს შორის 2011 წლის 19 მაისს გაფორმებულ მემორანდუმში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად შეიცვალა ელექტროენერგიის ზაფხულის ტარიფი 2021 სექტემბრიდან და 0.05 აშშ დოლარის ნაცვლად გახდა 0.057 აშშ დოლარი, ხოლო ხელშეკრულების ვადა გახანგრძლივდა 2031 წლის სექტემბრამდე.

კომპანიის საბაზრო რისკი დაკავშირებულია მომავალი ფულადი ნაკადების ცვალებადობასთან საბაზრო ფასების ცვლილების გამო. საბაზრო რისკი შედგება ორი კომპონენტისაგან: სესხის საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობასთან დაკავშირებული რისკი და სავალუტო კურსების ცვალებადობასთან დაკავშირებული რისკი. კომპანია არ ახდენს სავალუტო რისკის ჰეჯირებას. მაგრამ, უნდა აღინიშნოს რომ რისკს გარკვეულწილად ამცირებს ის, რომ გენერირებული ელექტროენერგიის ფასი ნომინირებულია აშშ დოლარში. კომპანიის მგრძნობელობა სავალუტო კურსის და საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობასთან დაკავშირებულ რისკებთან მიმართებაში მოყვანილია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

2019 წლის ბოლოს კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა არის 59. კომპანია მკაცრად ასრულებს საქართველოს შრომის კოდექსით და შრომის უსაფრთხოების ნორმებით დადგენილ ვალდებულებებს.

კომპანია ახორციელებს გარემოსდაცვითი მონიტორინგის სქემით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას და აგზავნის გარემოსდაცვით მონიტორინგის ანგარიშებს (ყოველკვარტლური და ყოველწლიური) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში. აგრეთვე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, კომპანია ასრულებს გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

კომპანიამ უნდა განახორციელოს ტყის განაშენიანება 2017-2030 წლებში. 2017 წელს ტყის განაშენიანებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 165,000 ლარი. შედეგად, შექმნილია სანერგე მეურნეობა სადაც დაითესა ადგილობრივი წიწვოვანი ხეები. ეს ნერგები გამოყენებული იქნება ტყის განაშენიანების ვალდებულების შესასრულებლად. კომპანიამ 2019 წლის განმავლობაში ტყის განაშენიანებაზე გაწია ხარჯი 45,000 ლარის ოდენობით.

ელექტროენერგიის მზარდი მოხმარების პირობებში კომპანიის მიზანია განვითარებული ინფრასტრუქტურით და მაღალკვალიფიციური თანამშრომლებით უპასუხოს თანამდეროვე გამოწვევებს და იტვირთოს მისია, რომლის ამოსავალი წერტილია გამოიმუშაოს უფრო მეტი ელექტროენერგია და ამით შეიტანოს თავისი წვლილი ჩვენი ქვეყნის ენერგო დამოუკიდებლობაში. ეს მმართველობითი ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2019 წლის 29 სექტემბერს:

კონსტანტინე იოსელიანი
გენერალური დირექტორი

ზვიად ალავეძე
მთავარი ბუღალტერი

კომპანიის საბაზრო რისკი დაკავშირებულია მომავალი ფულადი ნაკადების ცვალებადობასთან საბაზრო ფასების ცვლილების გამო. საბაზრო რისკი შედგება ორი კომპონენტისაგან: სესხის საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობასთან დაკავშირებული რისკი და სავალუტო კურსების ცვალებადობასთან დაკავშირებული რისკი. კომპანია არ ახდენს სავალუტო რისკის ჰეჯირებას. მაგრამ, უნდა აღინიშნოს რომ რისკს გარკვეულწილად ამცირებს ის, რომ გენერირებული ელექტროენერგიის ფასი ნომინირებულია აშშ დოლარში. კომპანიის მგრძნობელობა სავალუტო კურსის და საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობასთან დაკავშირებულ რისკებთან მიმართებაში მოყვანილია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.


2019 წლის ბოლოს კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა არის 59. კომპანია მკაცრად ასრულებს საქართველოს შრომის კოდექსით და შრომის უსაფრთხოების ნორმებით დადგენილ ვალდებულებებს.

კომპანია ახორციელებს გარემოსდაცვითი მონიტორინგის სქემით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას და აგზავნის გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიშებს (ყოველკვარტლური და ყოველწლიური) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში. აგრეთვე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, კომპანია ასრულებს გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

კომპანიამ უნდა განახორციელოს ტყის განაშენიანება 2017-2030 წლებში. 2017 წელს ტყის განაშენიანებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 165,000 ლარი. შედეგად, შექმნილია სანერგე მეურნეობა სადაც დაითესა ადგილობრივი წიწვოვანი ხეები. ეს ნერგები გამოყენებული იქნება ტყის განაშენიანების ვალდებულების შესასრულებლად. კომპანიამ 2019 წლის განმავლობაში ტყის განაშენიანებაზე გაწია ხარჯი 45,000 ლარის ოდენობით.

ელექტროენერგიის მზარდი მოხმარების პირობებში კომპანიის მიზანია განვითარებული ინფრასტრუქტურით და მაღალკვალიფიციური თანამშრომლებით უპასუხოს თანამდეროვე გამოწვევებს და იტვირთოს მისია, რომლის ამოსავალი წერტილია გამოიმუშაოს უფრო მეტი ელექტროენერგია და ამით შეიტანოს თავისი წვლილი ჩვენი ქვეყნის ენერგო დამოუკიდებლობაში. ეს მმართველობითი ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2019 წლის 29 სექტემბერს:


გიორგი ჩიქვაშვილი
გენერალური დირექტორი


ზვიად ჩიქვაშვილი
მთავარი ბუღალტერი